საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1359

2016 წლის 7 ივლისი

ქ. თბილისი

საჩხერის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში - დებულება) 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდ-ბოგირებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაციის მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტი, 3 თვის ვადით, გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 35 718 (ოცდათხუთმეტი ათას შვიდას თვრამეტი) $მ^3$ საშენი მასალა (ღორღი, ქვიშა-ხრეში) შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) სოფ. კორბოული, 1950 $მ^3$ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	374218	4677427
2	374216	4677395
3	374169	4677381
4	374168	4677405
S = 0,13 ჰა		
WGS 1984;		

ბ) სოფ. სარეკი, 11 568 $მ^3$ ღორღი:

№	X	Y
1	364504	4689511
2	364476	4689560
3	364412	4689503
4	364441	4689473
S = 0. 39 ჰა		
WGS 1984;		

გ) სოფ. კორბოული, 1200 $მ^3$ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	373558	4677198
2	373531	4677200

3	373540	4677232
4	373541	4677232
5	373559	4677240
S = 0.08 ჰა		
WGS 1984;		

დ) სოფ. ჩიხა, 3600 მ³ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	371886	4688091
2	371889	4688109
3	371838	4688139
4	371785	4688114
S = 0,24 ჰა		
WGS 1984;		

ე) სოფ. ჭალა, 4650 კბ.მ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	377895	4687463
2	377762	4687380
3	377746	4687405
4	377888	4687470
S = 0,31 ჰა		
WGS 1984;		

ვ) სოფ. ქვემოხევი, 7500 კბ.მ ქვიშა-ხრეში:

I უბანი		
N	X	Y
1	364742	4692895
2	364771	4692903
3	364793	4692853
4	364753	4692843
S = 0,19 ჰა		
II უბანი		
N	X	Y
1	364756	4692828
2	364799	4692839
3	364825	4692779

4	364768	4692772
S = 0,31 ჰა		
WGS 1984;		

ზ) სოფ. ლიჩი, 3150 კბ.მ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	374191	4667818
2	374185	4667842
3	374262	4667881
4	374271	4667859
S = 0,21 ჰა		
WGS 1984;		

თ) სოფ. ხვანი, 2100 კბ.მ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	378584	4672369
2	378594	4672387
3	378535	4672419
4	378524	4672402
S = 0,14 ჰა		
WGS 1984.		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი - საჩხერის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის.

3. დებულების 7[4] მუხლის 2[1] პუნქტის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის დადგინდეს განსხვავებული გადასახდელი თანხა წიაღით სარგებლობის ერთ ობიექტზე (სოფ. სარეკში) და მუნიციპალიტეტმა, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ოდენობის თანხების გადახდა:

ა) სოფ. კორბოულში 1950 მ^3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის - 339 ლარი;

ბ) სოფ. სარეკში 11 568 მ^3 ღორღის მოპოვებისთვის - 2313,6 ლარი;

გ) სოფ. კორბოულში 1200 მ^3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის - 209 ლარი;

დ) სოფ. ჩიხაში 3600 მ^3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის - 626 ლარი;

ე) სოფ. ჭალაში 4650 მ^3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის - 809 ლარი;

ვ) სოფ. ქვემოხევში 7500 მ^3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის - 1304 ლარი;

ზ) სოფ. ლიჩში, 3150 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის - 548 ლარი;

თ) სოფ. ხვანში 2100 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის - 365 ლარი.

4. საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

5. საჩხერის მუნიციპალიტეტმა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან 2 კვირის ვადაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი